

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტის
აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო კომისიის
სხდომის

ოქმი #1

ქ. თბილისი

10 დეკემბერი 2018 წელი

2018 წლის 10 დეკემბერს შედგა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო კომისიის სხდომა

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე:

უკლება მაია - გთუნი-ს რექტორის მოადგილე, პროფესორი.

კომისიის წევრები:

1. ხუჭუა ვაჟა - გთუნი-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი.
2. ფიცხელაური შენგელი - გთუნი-ს სამართლის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.
3. ლობჯანიძე გივი - გთუნი-ს საჯარო სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი.
4. დოლონაძე ლევანი - გთუნი-ს იურიდიული სამსახურის უფროსი, პროფესორი.

კომისიის მდივანი:

დევდარიანი ქეთევანი - (ხმის უფლების გარეშე) გთუნი-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი:

1. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა. /მომხსენებელი, პროფ. მაია უკლება, კომისიის თავმჯდომარე/
2. კონკურსანტებთან გასაუბრება.

მოისმინეს:

პროფესორ მაია უკლებას ინფორმაცია, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თაობაზე.

პროფ. მაია უკლებამ აღნიშნა, რომ შპს გთუნი-ს რექტორის მიერ 2018 წლის 29 ოქტომბერს გამოცემული ბრძანების (#01-01/79) საფუძველზე გამოცხადდა ღია კონკურსი. ბრძანებით განისაზღვრა განაცხადებების წარმოდგენის ვადები 2018 წლის 30 ნოემბრიდან 2018 წლის 07 დეკემბრის ჩათვლით. კონკურსის დღე - 2018 წლის 10 დეკემბერი, სააპელაციო ვადა - 3 დღე, საბოლოო შედეგები 2018 წლის 14 დეკემბერს, (ინფორმაცია განთავსებული იყო ვებ-გვერდზე და საქართველოს პერიოდულ პრესაში - გაზეთი „ახალი განათლება“ 01.11.2018წ.-07.11.2018წ.)

კონკურსის საფუძველზე უნივერსიტეტში ასარჩევი აკადემიური პერსონალის რაოდენობა განისაზღვრა 2 კაცით (საჯარო სამართლის კათედრა - 2 პროფესორი), კონკურსში მონაწილეობისათვის დოკუმენტაცია წარმოადგინა 2 კანდიდატმა. (ერთ-ერთმა მათგანმა (კერძოდ, რაინჰარდ პაულინგმა) საბუთები გამოგზავნა ფოსტით)

კანდიდატების დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნა ვადების დაცვით.

საკონკურსო მოთხოვნები და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა განსაზღვრული იყო ზემოაღნიშნული ბრძანებით და განთავსებული იყო ვებ-გვერდზე, რაც ინფორმაციას საჯაროსა და ხელმისაწვდომს ხდიდა აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთათვის.

გასაუბრებაზე გამოცხადდა 1 კანდიდატი და მეორესთან, კერძოდ რაინჰარდ პაულინგთან ინტერვიუ შედგა სკაიპის მეშვეობით.

კომისიის თავმჯდომარემ, მაია უკლებამ კომისიის წევრებს გააცნო კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მისი შესაბამისობა მოთხოვნებთან, კონკურსანტებს დაესვა კითხვები სამეცნიერო-პედაგოგიური და პროფესიული მოღვაწეობის, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს, მის მიერ წარმოდგენილი სილაბუსებისა და დისციპლინების სწავლების კონცეფციის (ბაკალავრიატსა და მაგისტრატურის დონეების მიხედვით) თაობაზე, ასევე სწავლის თანამედროვე მეთოდებზე. მათი პასუხები დადებითად შეფასდა.

კანდიდატებთან დაკავშირებით აზრი გამოთქვას კომისიის წევრებმა.

კანდიდატების საკითხი გატანილ იქნა კენჭისყრაზე, რის შედეგადაც კომისიის წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება და

დაადგინეს:

1. არჩეულ იქნეს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 6 (ექვსი) წლის ვადით შემდეგი კონკურსანტები:

სამართლის ფაკულტეტი

საჯარო სამართლის კათედრა:

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე:

1. რაინჰარდ პაულინგი
2. სერგო ჭელიძე

2. აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

3. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიაში;

4. სააპელაციო ვადა განისაზღვროს სამი სამუშაო დღით კონკურსის ჩატარებიდან; (11, 12, 13 დეკემბერი)

5. კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2018 წლის 14 დეკემბერს.

6. პროფ. სერგო ჭელიძემ ამ ეტაპზე უარი განაცხადა გთუნი-ს უნივერსიტეტთან აფილირებაზე.

კომისიის თავმჯდომარე:

პროფ. მათა უკლება

კომისიის წევრები:

პროფ. ვაჟა ხუჭუა

პროფ. შენგელი ფიცხელაური

პროფ. გივი ლობჯანიძე

პროფ. ლევან დოდონაძე

მდივანი:

ქეთევან დევდარიანი